



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 27/ს  
20/01/2023

27-21-4-202301201634



**ქ. თბილისში, კრწანისისა და სამგორის რაიონში, შპს „კოდორის“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ორთაჭალა 2-3“-ის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „კოდორის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში, კრწანისის და სამგორის რაიონში, 110 კვ ძაბვის საჯარო ელექტროგადამცემი ხაზის „ორთაჭალა 2-3“-ის გაყვანის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, არსებული 110 კვ ძაბვის საჯარო ელექტროგადამცემი ხაზი („ორთაჭალა 2-3“) წარმოადგენს სს „თელასის“ საკუთრებას. საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში კრწანისი და სამგორის რაიონში და გადის შპს „ას ჯორჯიას“ მიერ, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე. სს „თელასთან“ შეთანხმებისა და შპს „ას ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „კოდორის“ დაგეგმილი აქვს 110 კვ საჯარო ეგხ „ორთაჭალა 2-3“-ის N17/7 და N23/13 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქცია (გადატანას), კერძოდ 5 არსებული საყრდენის (N22/12; N21/11; N20/10; N19/9; N18/8) დემონტაჟი და 8 ახალი საყრდენის მონტაჟი. სადემონტაჟო საყრდენების განთავსების GPS კოორდინატებია: N22/12-X-488299.28 Y-4613277.99; N21/11- X-488373.7 Y-4613343.42; N20/10-X-488628.98 Y-4613297.9; N19/9-X-489038.81 Y-4613267.45; N18/8-X-489412.84 Y-4613053.1. სადემონტაჟო მონაკვეთის ტრასის სიგრძე შეადგენს 2.013 კილომეტრს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტით დაგეგმილი ახალი საყრდენები განთავსდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. საყრდენების ქვეშ მუდმივი სარგებლობისათვის საჭირო მიწის ფართი შეადგენს 491,31 მ<sup>2</sup>-ს. საპროექტო საყრდენების განთავსების GPS კოორდინატებია: N1-X-488030 Y-4613139; N2-X-488194 Y-4613113; N3-X-488357 Y-4613115; N4-Y-488498 X-4613063; N5-X-488743 Y-4612971; N6-X-489001 Y-4612839; N7-X-489273 Y-4612771; N8-X-489360 Y-4612745. ეგხ-ის საპროექტო მონაკვეთის სიგრძე

იქნება -1,688 კმ. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 180 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო მონაკვეთზე გათვალისწინებულია AC150/24 სადენის (ГОСТ 839-80), ხოლო ატმოსფერული ზედაზვისაგან დაცვის მიზნით, C-50 მეხდამცავი გვარლის მონტაჟი. საპროექტო N1 საყრდენად გამოყენებული იქნება Y110-2 ტიპის, N2, N3, N5 საყრდენებად YC110-6 ტიპის, N4 საყრდენად ПС110-10ПТ ტიპის, N6 საყრდენად Y110-2+14 ტიპის, ხოლო N7 და N8 საყრდენად 2AYT60TP ტიპის საყრდენები. საყრდენების ლითონის ელემენტების მასალად გამოყენებული იქნება Вст3пс5 მარკის ფოლადი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, N1; N2; N3; N4; N5; N6 საყრდენების საძირკვლებად გამოყენებული იქნება ანაკრები რკინაბეტონის სოკოსებრი ბლოკები. საყრდენების რკინაბეტონის საძირკვლების ქვეშ, ქვაბულის ფსკერის მოსასწორებლად პროექტი ითვალისწინებს 10-15 სმ სისქის ხრეშის/ლორღის დატკეპნილი ფენის მომზადების მოწყობას. ქვაბულის შევსება (უკუყრილი) მოხდება ხრეშზე ან ლორღზე დამატებული გრუნტის მასით, 20-30 სმ სისქის ფენების ჩატკეპნით. N7 და N8 ქვეშ გათვალისწინებულია საყრდენის ჩამაგრება გრუნტში უშუალოდ ტანით და ფოლადის ხისტი ანკერისებრი კონსტრუქციის საძირკვლებით. ლითონის საძირკვლების მასალად პროექტი ითვალისწინებს Вст3пс5 მარკის ფოლადის გამოყენებას, რომელთა კოროზიისაგან დაცვა გათვალისწინებულია БТ-577 მარკის ლაქსადებავით ორჯერადი შეღებვით. ქვაბულის ფსკერზე საძირკვლების ქვეშ წინასწარ გათვალისწინებულია B15 კლასის ბეტონის დასხმა, სისქით 100-150 მმ. ქვაბულში N7 და N8 საყრდენის ტანის კონსტრუქციის ჩადგმისა და გასწორების შემდეგ დაბეტონება გათვალისწინებულია B20 კლასის ბეტონით.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება მიწის სამუშაოები, საპროექტო საყრდენების კონსტრუქციების განთავსებისთვის, რისთვისაც გამოყენებული იქნება ექსკავატორი. საპროექტო ტერიტორიაზე ყველანაირი მასალა შემოვა მზა სახით. ახალი საყრდენების დამონტაჟების შემდგომ, დაიწყება არსებული საყრდენების დაშლა, რათა ეფექტურად განხორციელდეს ელექტროგადამცემი ხაზის გადაერთების პროცესი. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 1 თვეს. საპროექტო ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე დასაქმდება 15 ადამიანი, ხოლო სადემონტაჟო სამუშაოებში 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება მშენებლობაში ჩართული ტრანსპორტი და დანადგარები. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (1 თვე) გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის

ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის მუდმივი კონტროლი, ტრანსპორტის გადაადგილების სიჩქარის დაცვა, ხმაურიანი სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, მოხდება მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვა და ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების უზრუნველყოფა. სამშენებლო პერიოდში თხრილების მოწყობისას წარმოქმნილი გრუნტის (ინერტული ნარჩენი) გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება თხრილების ამოსავსებად, ხოლო ნაწილი გატანილი იქნება ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე წარმოქმნისთანავე. ასევე, აღნიშნულ სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე იქნება გატანილი დემონტაჟს დაქვემდებარებული საყრდენების ბეტონის საძირკვლების ნარჩენები, ხოლო რაც შეეხება გამოთავისუფლებულ ანძებს, მათი დასაწყობება მოხდება სს „თელასის“ საწყობში, უვარგისი ფოლადის, რკინისა და ალუმინის ჯართი გადაეცემა შესაბამისი ნარჩენების მართვის უფლების მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად ჩატარებულია სავსე გეოლოგიური სამუშაოები, რისთვისაც საყრდენების განთავსების წერტილებზე გაყვანილ იქნა სამთო გამონამუშევრები, აღებული იქნა ნიმუშები, რომლებსაც ჩაუტარდა კვლევები და განისაზღვრა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. გრუნტის წყლები გამონამუშევრებში არ გამოვლინდა. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დასკვნის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. გეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო ნაკვეთის ამგები გრუნტები მდგრადია, უარყოფითი მოვლენები მოსალოდნელი არ არის და ვარგისია მშენებლობისთვის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო საყრდენები ეწყობა მდ. მტკვრის სანაპიროზე, ზედაპირულ წყალზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან საქმიანობის პროცესში სამუშაო ტექნიკის წყალში დგომა გათვალისწინებული არ არის. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ნარჩენების მართვისა და ავტომანქანების ტექნიკური გამართულობის საკითხები მკაცრად გაკონტროლდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არსებული საყრდენების სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება საპროექტო საყრდენების განთავსებას, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 24,55 მ<sup>3</sup> ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება, რაც განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული

ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება ფუჟ ქანებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ექსკავაციის პროცესში, აღნიშნული მასალა განთავსებული იქნება საპროექტო ტერიტორიაზე დროებით და გამოყენებული იქნება ადგილზევე, ჩაღრმავებების ამოსავსებად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ანთროპოგენური დატვირთვის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორისა და კრწანისის რაიონის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, კრწანისისა და სამგორის რაიონში, შპს „კოდორის“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ორთაჭალა 2-3“-ის გაყვანა არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „კოდორი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კოდორს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კოდორის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კრწანისისა და სამგორის რაიონების გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო